



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების დონე - სამაგისტრო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2023 წლის 8-9 მაისი

დასკვნის წარმოდგენის
თარიღი 2023 წლის 11
ივლისი

თბილისი

2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის დასკვნა: შემაჯამებელი მიმოხილვა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	12
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა...	12
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	21
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	28
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	31
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	42

ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ტომას თიირათსი, ვეტერინარული მედიცინისა და ცხოველთა მეცნიერებათა ინსტიტუტი, ესტონეთის სიგოცხლის მეცნიერებათა უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მელაშვილი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო მილაშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მღვდელაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის და დაწესებულების სახის მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ²

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ვეტერინარია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Veterinary
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ვეტერინარიის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ვეტერინარია 0841
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	347
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო- შემოქმედებითი ან/ და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/ შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/ პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ- ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის დასკვნა: შემაჯამებელი მიმოხილვა

• ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

ვეტერინარული მედიცინა ევროკავშირში რეგულირებული 7 პროფესიიდან ერთ-ერთია. ეს მოთხოვნები მოცემულია ერთ საკანონმდებლო დოკუმენტში, ევროკავშირის პროფესიული კვალიფიკაციების შესახებ დირექტივა 2013/55 / EU (ძველი დირექტივის 2005/36 / EC ცვლილება). ინტეგრირებული გრძელვადიანი ვეტერინარიის პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული მოიპოვებს ვეტერინარის სტატუსს, ე.ი. ვეტერინარის პრაქტიკის უფლებას. მიღებულია, რომ თითოეულ ქვეყანას აქვს მინიმუმ ერთი სახელმწიფოს / მთავრობის მიერ დაფინანსებული ვეტერინარიის ფაკულტეტი ან ვეტერინარული განათლების უმაღლესი დაწესებულება. ამჟამად საქართველოში ორ სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს ვეტერინარიის გრძელვადიანი საფეხურის პროგრამა.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამა შედგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესაბამისად (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება No09, 03.01.2018 წ.), ასევე გათვალისწინებულია დარგის სპეციფიკა, შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნები და მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება ევროპის წამყვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (ONIRIS - ნანტი, ალფორტი, ტულუზი, ლიონი).

პროგრამა შედგება 347 კრედიტისაგან და წარმოდგენილია შემდეგი მოცულობითა და სტრუქტურით: ზოგადი და საბაზო კურსები – 83 კრედიტი (მთლიანი კრედიტების 24%) და სპეციალობა ვეტერინარულ მედიცინაში – 264 კრედიტი (მთლიანი კრედიტების 76%). პროგრამის სტანდარტული ხანგრძლივობა ხუთი წელია (10 სემესტრი).

ახალი პროგრამა ფოკუსირებულია დარგისა და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და ასახავს ვეტერინარიის თანამედროვე გააზრებას, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს, რადგან ვეტერინარები მზადდებიან არა მხოლოდ ვეტერინარული პრაქტიკისათვის (ე.ი. დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის), არამედ, ასევე, კარიერისათვის სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებაში, ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკასა და კონტროლში, ფარმაცევტულ სფეროში, ბაზარზე წვდომაში, ვეტერინარულ და ბიო-სამედიცინო კვლევებში, სახელმწიფო სამსახურში და სხვ. ეს მოიცავს ბევრად მეტს, ვიდრე უბრალოდ დაავადების დიაგნოსტიკას და მკურნალობას.

მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, რომელიც ჩართული იყო მოსამზადებელ პროცესებში დარწმუნებულია, რომ სასწავლო პროგრამა ადეკვატურია და შეესაბამება შრომის ბაზრის საჭიროებებს. მან ასევე დაადასტურა, რომ NFA- ში ვეტერინარიის სტუდენტების პრაქტიკული მომზადების შესაძლებლობები განხილვის საგანი იყო.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტმა გაწია დიდი ძალისხმევა ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის მომზადებაში, რომლის სტრუქტურა და ფორმატი შეესაბამება უმაღლესი განათლების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს. ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ვეტერინარულ კვლევებზე, არის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი. უნივერსიტეტის მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი ვარაუდობს, რომ ახალი ვეტერინარიის სასწავლო პროგრამაზე უფრო მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა და აქტივობების დასაგეგმად თანხმობას მიიღებენ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ელოდა, რომ ამ ძალიან ადრეულ ეტაპზე უფრო მეტი მოსამზადებელი სამუშაო იქნებოდა შესრულებული უნივერსიტეტის მხრიდან.

უნივერსიტეტმა აჩვენა, რომ მას აქვს იმის შესაძლებლობა და საშუალებები, რომ ეფექტიანად განახორციელოს ახალი ვეტერინარული სასწავლო პროგრამა. თუმცა, კიდევ ბევრი რამ უნდა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

გაკეთდეს იმისათვის, რომ სწავლება - განსაკუთრებით კლინიკურ ტრენინგთან დაკავშირებული - შეესაბამებოდეს როგორც უნივერსიტეტის ხარისხის შიდა სტანდარტებს, ასევე ხარისხის ეროვნულ მოთხოვნებსა და შეთანხმებებს. ეს მოიცავს უნივერსიტეტის საკუთარი კლინიკური დაწესებულებების მშენებლობას და პარტნიორ ინსტიტუტებში სტუდენტთა როტაციის ლოჯისტიკას, ადეკვატური ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

გუნდი შედგებოდა 5 წევრისაგან - ტომას თიირათსი, თავმჯდომარე და საერთაშორისო ექსპერტი, გიორგი მელაშვილი, ნინო მილაშვილი, ნინო ჯოჯუა და გიორგი მღვდელაძე. ვიზიტი შედგა 2023 წლის 8-9 მაისს სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრები და ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებთან (8 წარმომადგენელი), თვითშეფასების ჯგუფთან (8 წარმომადგენელი), პროგრამის აკადემიურ პერსონალთან (6 წარმომადგენელი), პროგრამის მოწვეულ პერსონალთან (5 წარმომადგენელი), სტუდენტებთან (5), კურსდამთავრებულებთან (5) მომიჯნავე პროგრამების წარმომადგენლებთან, პოტენციურ მომავალი დამსაქმებლებთან (7 ორგანიზაცია) და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ხელმძღვანელთან. ასევე, გაიმართა შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის დეკანთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტების ხელმძღვანელებთან უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დონეზე. მოეწყო ტური უნივერსიტეტში, მათ შორის სასწავლო ზონაში, ბიბლიოთეკაში, ლაბორატორიებში, კლინიკურ დაწესებულებებში და კამპუსის მიღმა დაწესებულებებში (დაწვრილებით იხილეთ „ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი“).

ექსპერტთა ჯგუფს სურს მაღლობა გადაუხადოს ენთუზიასტ პერსონალს ყველაზე საინტერესო და ინფორმაციული მსჯელობისათვის, რომლებიც ჩატარდა მაღალ პროფესიულ დონეზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან,

- 1.1, 1.2, 1.3, 1.5 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 1.4 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან:

- 2.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.2 და 2.3 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 2.4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 3.1 და 3.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 4.1, 4.3 და 4.5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- 4.4 ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- 5.1 და 5.3 - მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს
- 5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

1.1

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით, რათა დარწმუნდეს, რომ მიზნების მიღწევა 5 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

1.2

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის გადახედვას წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

1.3

- დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირე უნდა დაემატოს დაკონკრეტებული ფორმით და წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლებით, რომელთა საშუალებითაც მოხდება მიღებული შედეგების შედარება.

1.4

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას მათი შემცირების მიზნით, ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით.

1.5

- რეკომენდებულია სილაბუსებში თანამედროვე და ადეკვატური ლიტერატურის გამოყენება.
- გადაიხედოს და შეიცვალოს ყველა შეცდომებით დაწერილი სილაბუსი და გასწორდეს მცდარი შინაარსი.

2.2

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა განავითაროს კლინიკური პრაქტიკული ელემენტები საუკეთესო ევროპული ვეტერინარული პრაქტიკის მიხედვით.
- მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ განავითაროს დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრი, მათ შორის (და არა მხოლოდ): კლინიკური დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ქირურგია და მკურნალობის უნარები, და შეძლოს ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობის, ამბულატორიული მომსახურების, ფარმაციისა და გაკვეთის საქმიანობის უზრუნველყოფა.

2.3

- ცოცხალი ცხოველების გამოყენება სწავლებაში მნიშვნელოვანია, რაც გარანტირებული უნდა იყოს სწავლის პერიოდის ყველა საფეხურზე (განსაკუთრებული აქცენტით ფერმის ცხოველებზე).
- მკაცრად რეკომენდებულია, რომ პრაქტიკული ტრენინგი როგორც სწავლის მეთოდი, დაინერგოს როგორც ძირითადი კლინიკური ტრენინგი, უნივერსიტეტის პედაგოგთა უშუალო ზედამხედველობით (მაგ. ამბულატორიული კლინიკები, ნახირის ჯანმრთელობის მართვა, პრაქტიკული ტრენინგი ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, მათ შორის სურსათის უვნებლობა და ხარისხი).

2.4

- სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, რომელიც 15 კვირაზე ნაწილდება. მაქსიმალური შეფასება თითოეული კვირისთვის არის 4 ქულა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული პრაქტიკა 3- დან 5 კვირამდე გრძელდება, ექსპერტები თვლიან, რომ გარე პრაქტიკის სილაბუსებში სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები

შესაბამისად უნდა იყოს მორგებული.

4.1

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას ვეტერინარული გამოცდილების მქონე მუდმივი აკადემიური პერსონალის ძირითადი ჯგუფი.
- პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ უნივერსიტეტის მუდმივი აკადემიური პერსონალის ნაწილი.
- მასწავლებელთა ჩართულობა ოპტიმალურად და დაბალანსებულად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა შენარჩუნდეს სწავლების ხარისხი და უზრუნველყოფილი იყოს, რომ თითოეული მასწავლებლის დატვირთვა გონივრული და ადეკვატური იყოს.

4.3

- უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს მოწვეული პერსონალის აკადემიური შეფასების სისტემა.
- უნივერსიტეტი პასუხისმგებელია მოწვეული პერსონალის პედაგოგიურ უნარებზე ზრუნვასა და ტრენინგზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იპოვოს მათი კვლევით აქტივობებში ჩართვის გზები.

4.4

- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტთა ხელმისაწვდომობა დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრზე, მათ შორის (და არა მარტო): კლინიკური უნარების ლაბორატორია, დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ოპერაციები და სამკურნალო საშუალებები, ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობა, ამბულატორიული მომსახურება, ფარმაცია და ნეკროპსიის ობიექტები. ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროცედურები და საშუალებები ტრანსფერული უნარების ტრენინგისთვის, მაგ. კომუნიკაციის უნარების ტრენინგი როლური თამაშის საშუალებით.
- რეკომენდებულია თანამედროვე და ადეკვატური ლიტერატურის გამოყენება (უახლესი ინგლისური ლიტერატურის გვერდით შემოთავაზებული იყო 1960- 70-იანი წლების რუსული და ქართული სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები. ასეთი მოძველებული ინფორმაცია თავდაპირველ ფორმატში ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად ან სასარგებლო მასალად).
- სტუდენტების, ასევე ცოცხალი ცხოველების, გვამების, ცხოველური წარმოშობის მასალების და სხვა სასწავლო მასალების ტრანსპორტირების ორგანიზებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოება, ცხოველთა კეთილდღეობა და თავიდან აიცილოს ინფექციური აგენტების გავრცელება.

4.5

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა (ობიექტები, აღჭურვილობა, პერსონალი და ა.შ.) საჭირო თანხებით.

5.1

- საჭიროა რესურსების დეტალური შეფასებისა და შესაძლო დეტალური სქემის შემუშავების კოორდინაცია საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების შესაძენად.

5.3

- პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია, რეგულაციებით გათვალისწინებული მექანიზმების უფრო სრულყოფილად გამოყენება - მატერიალური რესურსების შეფასება, პროგრამის წინაპირობები/ მკითხველი ქართულ ენაზე, პროგრამის მდგრადობა, აკადემიური პერსონალის შეფასება და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1.4

- მნიშვნელოვანია ნანტის ვეტერინარულ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
- თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ (ინტერდისციპლინურ) მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას.

1.5

- ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. ფორმალიზებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსის შინაარსის შემდგომ განვითარებას და ამჟამინდელი და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადებას.

2.1

- სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას გეგმა და განახორციელოს ზომები, რომლებიც დაეხმარება პირველი კურსის სტუდენტებს გადაჭრან ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევა.

2.4

- სასურველია სტუდენტები კლინიკურ დისციპლინებში შეფასდნენ ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE).

4.3

- ხელმისაწვდომი უნდა იყოს დიდაქტიკური და პედაგოგიური მომზადებისა და სპეციალიზაციის შესაძლებლობები. უნდა ჩამოყალიბდეს მკაფიოდ განსაზღვრული დაჯილდოების სისტემა გამორჩეული სწავლებისთვის.
- უნივერსიტეტში ასევე უნდა ჩამოყალიბდეს ვეტერინარული სადოქტორო პროგრამა გრძელვადიან პერსპექტივაში.
- საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის, ერთობლივი კვლევითი პროექტების გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის.

4.4

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს აღჭურვილობის შესყიდვის სრული სია პრაქტიკული სწავლის ადეკვატური ხარისხის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის საკუთარი კლინიკური დაწესებულებები, ისევე როგორც პარტნიორების (კერძო კლინიკები და ცხოველთა თავშესაფრები) აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი უახლესი ვეტერინარული აპარატურით და ინსტრუმენტებით.

5.1

- სასურველია განისაზღვროს პედაგოგიური საფუძველი, დიზაინი, მიწოდების მეთოდები და შეფასების მეთოდები, რომლებსაც აკადემიური და მოწვეული პერსონალი ცალკეულ საგნებში ახორციელებენ, რათა გამოვლინდეს და დაკმაყოფილდეს მათი სასწავლო მოთხოვნები, რომლებიც მიზნად ისახავს შეინარჩუნოს და გააძლიეროს მათი სასწავლო გეგმაზე მუშაობის კომპეტენცია.

5.2

- პროგრამის განხორციელების დასრულების შემდეგ, უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს განვითარების პროცესი EAEVE (ვეტერინარული განათლების

დაწესებულებების ევროპული ასოციაცია) მიერ ბაკალავრიატის ვეტერინარული განათლებისთვის დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.

5.3

- გადაწყვეტილების მიღებისთვის უფრო ობიექტური და სანდო ინფორმაციის მისაღებად დაწესებულებამ უნდა გაზარდოს გამოკითხვებში ჩართული რესპონდენტების - განსაკუთრებით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობა.
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**
- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტები გულწრფელად იმედოვნებენ, რომ უნივერსიტეტის მთავარ პერსონალს ესმის, რომ ჩვენი კრიტიკა არ ეხება სასწავლო პროგრამის მთლიან სტრუქტურას (ანუ ფრანგულ მოდელს), არამედ უნივერსიტეტის აქამდე შესრულებულ მოსამზადებელ სამუშაოს და მის შესაძლებლობას, რომ უზრუნველყოს პროგრამის ფუნქციონირება თბილისში. განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ უნივერსიტეტს ვეტერინარიის სწავლების კუთხით წარსული გამოცდილება არ აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რეკომენდაცია და წინადადება შეიძლება ერთმანეთს იმეორებდეს, როგორც ეს აღნიშნულია უნივერსიტეტის საპასუხო წერილში. თუმცა, ეს კომენტარები გაკეთებულია სხვადასხვა პერსპექტივიდან, თითოეული პუნქტის ფოკუსიდან გამომდინარე. ეს ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მიექცეს ამ პრობლემების სხვადასხვა ასპექტს.

რეკომენდაცია #1 გთავაზობთ კურიკულუმის კრედიტების გადახედვას ქართულ რეალობასთან და საზოგადოების მოლოდინებთან შესაბამისობაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მიზნების მიღწევა 5 წლის განმავლობაში. ერთ-ერთი რამ რაც საყურადღებოა, არის ის, რომ თუკი სტუდენტი საგანში ჩაიჭრება, მომდევნო სემესტრის კრედიტებში შეყვანილი უნდა იყოს ეს საგანიც, რაც პოტენციურად გამოიწვევს წელიწადში 70-ზე მეტი კრედიტის დაგროვებას. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის №105/ნ ბრძანების მუხლი 2.1 ; სასწავლო კვირა/სემესტრი/სასწავლო წელი, 5. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია ერთი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტის სასწავლო დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე მეტი ან 60 კრედიტზე ნაკლები დაუშვებელია, რომ სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთ სასწავლო წელს აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში პირველი სასწავლო წელი მოიცავს 70 კრედიტს, მეორე სასწავლო წელი - 70 კრედიტს, მესამე სასწავლო წელი - 69 კრედიტს, მეოთხე სასწავლო წელი - 69 კრედიტს, მეხუთე სასწავლო წელი - 69 კრედიტს, ანუ სულ 347 კრედიტი. ექსპერტების თანახმად, ზოგიერთი სასწავლო კურსის ხელახალი გავლის შემთხვევაში, ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, სტუდენტს 75 კრედიტის ფარგლებში მხოლოდ

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

5 ან 6 კრედიტის მოპოვების შესაძლებლობა აქვს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სემესტრში ისწავლება 9-10-11 აკადემიური კურსი და რომ ზოგიერთი აკადემიური კურსის შესწავლის წინაპირობაა 14, 15 და ზოგჯერ მეტი კურსის გავლა, უნდა გადაიხედოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის კრედიტების რაოდენობის საკითხი.

რეკომენდაცია #2 ხაზს უსვამს პროგრამის გადახედვის აუცილებლობას წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. იგი ხაზს უსვამს საქართველოსა და საფრანგეთს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებებს მეურნეობის ტრადიციებში, დაავადებებსა და ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კუთხით. ფრანგული უნივერსიტეტის პროგრამის უბრალოდ კოპირება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი, რადგან ქართველი ვეტერინარები იმუშავენ საქართველოში და არა საფრანგეთში, და ფრანგული კონტექსტზე შექმნილი პარაზიტოლოგიისა და ინფექციური დაავადებების პროგრამის სწავლის პრაქტიკული წარმატება შეიძლება შეზღუდული იყოს.

ამჟამად, ფრანგულ უნივერსიტეტთან არ არის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს შემდგომ თანამშრომლობას. არსებითი მნიშვნელობის იქნება ხელშეკრულებების გაფორმება ან პარტნიორობების ჩამოყალიბება იმ უნივერსიტეტებთან ან ინსტიტუტებთან, რომელთაც ღირებული წვლილისა და რესურსების შეტანა შეუძლიათ საქართველოს ვეტერინარულ საგანმანათლებლო პროგრამაში. ეს შეიძლება მოიცავდეს

გაცვლითი პროგრამების, ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავებას ან ფაკულტეტების თანამშრომლობას განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და ქართული ვეტერინარული პრაქტიკის სპეციფიკურ საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

მიუხედავად ამისა, წინამდებარე ანგარიში ასახავს არსებულ მდგომარეობას და მოწოდებული რეკომენდაციები და რჩევები მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მხარდაჭერას სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნამდვილი აკრედიტაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასწავლო გეგმა განხორციელდება და პროგრამა გამოუშვებს პირველ კურსდამთავრებულებს.

ექსპერტის ანალიზისა და ანგარიშში მოყვანილი არგუმენტების საფუძველზე, რეკომენდაციები უცვლელი რჩება.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიზნები შედგენილია ვეტერინარიის დარგის უმაღლესი განათლების მახასიათებლების მიხედვით, რომლებიც შემუშავდა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მიერ და განსაზღვრავენ საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ახალი პროგრამა შეესატყვისება ვეტერინარიის თანამედროვე გააზრებას, რომელიც მოიცავს საკითხთა ფართო სპექტრს და ვეტერინარები მზადდებიან არა მხოლოდ ვეტერინარული პრაქტიკისათვის, არამედ, ასევე, კარიერისათვის სურსათის უვნებლობასა და უსაფრთხოებაში, ზოონოზური დაავადებების პროფილაქტიკასა და კონტროლში, ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, ბაზარზე წვდომაში, ვეტერინარულ და ბიო-სამედიცინო კვლევებში, სახელმწიფო სამსახურში და სხვ.

პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტმა გაიარა კონსულტაციები ვეტერინარიის სექტორის გარე დაინტერესებულ მხარეებთან. პროგრამა გუნდური მუშაობის პროდუქტია, ამ მხრივ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რადგან ვეტერინარული პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული. თუმცა აღნიშნული პროგრამის მოდელის - ნანტის ვეტერინარული სასწავლო გეგმის, ხანგრძლივობა არის ექვსი წელი, ხოლო, მიმდინარე სასწავლო გეგმა უფრო მოკლეა, 6 წელი შეკუმშულია ხუთ წელიწადში, წლის განმავლობაში 70 კრედიტით. ეს გამოიწვევს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვნად მძიმე დატვირთვას, რაც აჩენს კითხვებს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა დასახული მიზნების მიღწევა ასეთ მოკლე დროში.

გარდა ამისა, ნანტის ვეტერინარული სკოლის მოდელი ვეტერინარული პროგრამა მოითხოვს სწავლების შესწორებულ მიდგომას. საჭიროა მეტი თანამშრომლობა სხვადასხვა საგნებისა და კურსის მასწავლებლებს შორის. იქნება თუ არა პროგრამა წარმატებული თუ მასწავლებლები ვეტერინარულ განათლებაში სწავლების კლასიკურ მეთოდებს გამოიყენებენ? მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სასწავლო გეგმა შემოკლდა (6 წელი ნანტში), ის მაინც მნიშვნელოვნად მძიმე დატვირთვას წარმოადგენს სტუდენტის პერსპექტივიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის მისია;
- აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;

- გასაუბრება დამსაქმებლების წარმომადგენლებთან;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით, რათა დარწმუნდეს, რომ მიზნების მიღწევა 5 წლის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ სასწავლო პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ ყველა სტუდენტი, რომელიც წარმატებით დაასრულებს კურსს, თავისი კომპეტენციით სრულად პასუხობდეს ევროკავშირის დირექტივას 2005/36/EC (შესწორებული დირექტივით 2013/55/EU) და მის დანართს V.4.1.

სასწავლო პროგრამა მოიცავს საგნებს და შეიძლება დაუშვას ESEVT SOP დანართ 2- ში (EAEVE) ჩამოთვლილი პირველი დღის კომპეტენციების (გამომავალი) შექმნა, თუ რესურსი, მართვა და განხორციელება გეგმის მიხედვით წარიმართება. ეს ეხება საბაზისო მეცნიერებებს, კლინიკურ მეცნიერებებს კომპანიონ ცხოველებში (ცხენების და ეგზოტიკური შინაური ცხოველების ჩათვლით), კლინიკურ მეცნიერებებს საკვების მწარმოებელ ცხოველებში (ცხოველთა წარმოებისა და ნახირის ჯანმრთელობის მენეჯმენტის ჩათვლით), ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანმრთელობას (კვების უსაფრთხოებისა და ხარისხის ჩათვლით), ასევე პროფესიონალურ ცოდნას (მათ შორის ტრანსფერული უნარები, მაგ. კომუნიკაცია, გუნდური მუშაობის უნარები, მართვის უნარები).

ნანტის ვეტერინარული სკოლის 6 წლიანი პროგრამის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 5 წლიანი პროგრამით შეცვლამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სწავლის შედეგებზე და სწორედ ეს აფიქრებს ექსპერტთა ჯგუფს.

პროგრამა ადაპტირებულია პროფესიული შრომის ბაზრის საჭიროებებზე, მაგრამ ის ასევე მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას დოქტორანტურისთვის. ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ სთავაზობს ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამებს.

პროგრამა მოიცავს კომპეტენციისა და სწავლის შედეგების სხვადასხვა სფეროს, როგორც კოგნიტურს, ასევე პრაქტიკულს. კურსები ორიენტირებულია როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საჭიროებებზე. ნანტისგან მიღებული სასწავლო პროგრამის აღწერა, როგორც ჩანს, კარგად არის სტრუქტურირებული, მოიცავს სტუდენტთა სწავლისა და მიღწევების

მახასიათებლებს. თუმცა, მაგალითად, ნანტი ვეტერინარული სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა ექვსი წელია. ეს აჩენს კითხვას, შესაძლებელია თუ არა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა მცირე მოცულობის სასწავლო გეგმით. იმის გამო, რომ მიმდინარე სასწავლო პროგრამა უფრო მოკლე ხანგრძლივობისაა, ეს გამოიწვევს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვნად მძიმე დატვირთვას. გარდა ამისა, გაურკვეველია, რამდენად კარგად არის პროგრამა ოპტიმიზირებული საქართველოს რეალობისა და საჭიროებისთვის. მაგალითად, საქართველოში ცხოველთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებით სიტუაცია განსხვავდება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უმაღლესი ვეტერინარული განათლების დარგობრივი მახასიათებლები, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- გასაუბრება დამსაქმებლების წარმომადგენლებთან;

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს პროგრამის გადახედვას წინასწარ განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მოდელიდან (ნანტი) ასევე აღებულია სწავლის შედეგები. ეს ბადაებს კითხვას იმის შესახებ, უზრუნველყოფს თუ არა საგნების შეცვლილი შინაარსი აღწერილი სწავლის შედეგების

მიღწევას იმავე შინაარსისა და სტრუქტურის უფრო მოკლე სასწავლო გეგმის გამოყენებით, რომელშიც ექვსი წელი შეკუმშულია ხუთ წელიწადში წლის განმავლობაში 70 კრედიტით.

"ვეტერინარიის" ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ორი მაკროკომპეტენციის სფეროს სახით: დარგობრივი (სპეციფიკური) ვეტერინარიისთვის და ზოგადი (ტრანსვერსია), რომელიც ასევე ადაპტირებულია ვეტერინარული პროფესიის სპეციფიკაზე.

ცოდნის დემონსტრირების კონკრეტული ინდიკატორები დაეხმარება პედაგოგებს შეაფასონ სტუდენტის მიერ შეძენილი კომპეტენციების ეფექტური განხორციელება.

დემონსტრირების დონე (ფორმა) თითოეული შედეგისთვის არის სპეციფიკური და ასახავს რა შედეგებს უნდა მიაღწიოს სტუდენტმა შემდეგი ტოპოლოგიის მიხედვით:

ცოდნა და გაცნობიერება - „ნახა“, დაეუფლა და გაიგო;

შესრულების უნარი - „ჩაატარა“, განახორციელა მითითებებით და ხელმძღვანელობით;

შესრულების ავტონომია - „იცის როგორ წარმართოს“, ასრულებს ავტონომიურად;

თითოეული შედეგის დემონსტრირება შესაძლებელია კლინიკური როტაციის ან სტაჟირების დროს (პრაქტიკა), ცოცხალი ან იმიტირებული ექსპერიმენტის სახით.

პროგრამას ახლავს "უნარების შეფასების სქემა", რომელიც ასახავს თითოეულ კომპეტენციას და უნარს, რომელიც უნდა შეფასდეს მე-4 და მე-5 კურსზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი "სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება", რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპები.

1.1. პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება;

1. პროგრამის მიზნების შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასთან;

1.1.2. პროგრამის სწავლის შედეგები; 1.1.3. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; 1.2. კურიკულუმის ანალიზი;

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; 1.3.1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირე;

1.4. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად

დოკუმენტის 1.1.2 ნაწილში აღწერილია „ვეტერინარია“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები; ნაწილი 1.1.3 მოიცავს ინფორმაციას პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე; სასწავლო გეგმის ანალიზის განყოფილების 1.2 პუნქტში ნათლად ჩანს სწავლებისა და კვლევის კომპონენტების როლი სწავლის შედეგების მიღწევაში შემდეგ საფეხურებზე: შესავალი, გაძლიერება, განმტკიცება.

პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით. პირდაპირი შეფასების მეთოდების მაგალითებია: წერილობითი/ ზეპირი გამოცდა/ გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატები, პრაქტიკული პროექტები და ა.შ. არაპირდაპირი შეფასების მეთოდია დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვა, სასწავლო გეგმის ანალიზი, სტუდენტების გამოკითხვა და ა.შ.

სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებია მასალები, მტკიცებულებები - სტუდენტების ნაშრომები და ა.შ.

ამავე დოკუმენტის 1.3.1 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირის მიხედვით, პროგრამის საგანმანათლებლო კურსის სწავლის შედეგები შეფასდება „სასწავლო წელიწადში ერთხელ, აღნიშნული კურსის ხელახლა განხორციელებამდე სულ მცირე 1 თვით ადრე და შედარებული იქნება მახასიათებლის პროცენტულ მაჩვენებლებთან. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი ფასდება სემესტრის ბოლოს შეფასების გეგმის მიხედვით, როდესაც აღნიშნული სწავლის შედეგი განხორციელდა.

დოკუმენტის 1.4. ნაწილში აღწერილია სწავლის შედეგების გამოყენება პროგრამის

გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში პროგრამის შეცვლას; ექსპერტების აზრით, დოკუმენტი „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“ უნდა მოიცავდეს „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირეს განსაზღვრული წესით (რადგან „უნარების შეფასების სქემაში“ მითითებულია მე-4 და მე-5 წელი) და წინასწარ განსაზღვრულ მახასიათებლებს, რომლებთანაც მოხდება მიღებული შედეგების შედარება.

რჩევები:

დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირე უნდა დაემატოს დაკონკრეტებული ფორმით და წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლებით, რომლებთანაც მოხდება მიღებული შედეგების შედარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- დანართი - უნარების შეფასების სქემა;
- სწავლის შედეგების სქემა.

რეკომენდაციები:

- დოკუმენტში „სწავლის შედეგების შეფასება და განვითარება“, „ვეტერინარიის“ ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სიხშირე უნდა დაემატოს დაკონკრეტებული ფორმით და წინასწარ განსაზღვრული მახასიათებლებით, რომელთა საშუალებითაც მოხდება მიღებული შედეგების შედარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის თანამედროვე სტრუქტურა კარგად არის განსაზღვრული. შინაარსის ნაწილი შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც ეხება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციებს, დაშვების პირობებს, სწავლის შედეგებს, სტუდენტთა შეფასების სისტემას, სწავლების მეთოდებს სწავლის შედეგების მისაღწევად, სასწავლო გეგმას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ფინანსურ საკითხებს, ხარისხის განვითარების საკითხებს, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ რესურსებს, ადამიანური რესურსები და ა.შ. შინაარსი შეესაბამება მოქმედ კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს იმ ნაწილებში, რომლებიც მომზადებულია სამართლებრივი აქტების საფუძველზე. კურსები იყოფა მოდულებად - სავალდებულო, არჩევითი, პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი.

შესაბამისად, ასახულია თეორიული, გამოყენებითი და კვლევაზე დაფუძნებული სწავლის ეფექტური ნაზავი. ასეთი მიდგომა სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეიძინონ ცოდნა კონკრეტულ სფეროში, პრაქტიკული და კვლევითი უნარების გამომუშავებასთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომის დებულება (ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლი, დაცვის პროცედურა) კარგად იყო ჩამოყალიბებული.

პროგრამის სტრუქტურაში სპეციალობის მიმართულებების მიხედვით შეინიშნება მათემატიკური უზუსტობა სემესტრების მიხედვით კრედიტების განაწილების ცხრილში. ასევე V სემესტრში არის სამეცნიერო კომპონენტი 3 კრედიტით, ხოლო X სემესტრში სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა 20 კრედიტით, ვფიქრობთ 3 კრედიტი - არის სასწავლო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ უნივერსიტეტმა გაწია დიდი ძალისხმევა ვეტერინარიის სასწავლო პროგრამის მომზადებაში, რომლის სტრუქტურა და ფორმატი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტმა აჩვენა მიმდინარე მოსამზადებელი სამუშაოები ვეტერინარული სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის ხარისხის სტანდარტებს, ასევე ხარისხის ეროვნულ მოთხოვნებსა და რეგულაციებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაინერგა „კომუნიკაციის“ კურსი, რომელიც ძალიან აქტუალურია ვეტერინარიის სტუდენტებისთვის. ნანტის ვეტერინარული სასწავლო გეგმის მოდელის ხანგრძლივობაა ექვსი წელი (360 კრედიტი). ეს აჩენს კითხვას, შესაძლებელია თუ არა დაგეგმილი მიზნების მიღწევა იმავე შინაარსისა და სტრუქტურის, მაგრამ უფრო მოკლე ხანგრძლივობის სასწავლო გეგმის გამოყენებით (5 წელი 70 კრედიტით). იდეალურ შემთხვევაში, სასურველია სტუ- ში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) სწავლის ხანგრძლივობა ექვსი წლით განისაზღვროს, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტი დამოუკიდებლად ვერ მიიღებს. თუმცა, სასურველია, რომ შესაბამისმა ორგანოებმა გაითვალისწინონ ეს რეკომენდაცია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ვეტერინარიის 5 წლიანი პროგრამა მხოლოდ მინიმალური მოთხოვნაა ევროკავშირში.

დაკავშირებული პროგრამების კურსდამთავრებულებთან დისკუსიამ გამოავლინა საერთო კმაყოფილება. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ კურსების განმავლობაში უფრო მეტი პრაქტიკული ტრენინგი უნდა ჩატარდეს. ბოლო წლების განმავლობაში ამაზე აშკარად იქონია გავლენა COVID- ის შეზღუდვებმა.

ზოგადად, როგორც ჩანს, აკადემიური პერსონალი თავისუფალია თავად აირჩიოს და განახორციელოს სასწავლო მეთოდები. პროგრამა საკმარისია კლასიკური ვეტერინარული სასწავლო გეგმის გატარებისთვის. თუმცა, თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ (ინტერდისციპლინურ) მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას. მაგალითად, ანატომია კურსებად

არის ჩაშლილი პირველ და მესამე კურსზე. ამან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა საგნების ინტეგრირებისა და აკადემიური პერსონალის ეფექტური თანამშრომლობის პრობლემა. ძალიან მნიშვნელოვანია ნანტის ვეტერინარულ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას უწევს კურიკულუმის კრედიტების გადახედვას მათი შემცირების მიზნით, ქართული რეალობისა და საზოგადოების მოლოდინების გათვალისწინებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ძალიან მნიშვნელოვანია ნანტის ვეტერინარულ სკოლასა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო კურსისა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.
- თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ (ინტერდისციპლინურ) მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კურსები შექმნილია პროგრამის შედეგების მისაღწევად, ანუ კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. შესაბამისი სქემები მოცემულია პროგრამაში. ზოგადად, როგორც ჩანს, აკადემიური პერსონალი თავისუფალია თავად აირჩიოს და განახორციელოს სასწავლო მეთოდები. პროგრამა საკმარისია კლასიკური ვეტერინარული სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის. თუმცა, თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას.

სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ჯერ არ არის სრულად ხელმისაწვდომი ბიბლიოთეკაში ბეჭდური და ელექტრონული ვერსიით. თუმცა ბიბლიოთეკა ყველაფერს აკეთებს, რომ ყველა შესაბამისი მასალა მოკლე დროში შეიძინოს. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სასიამოვნო და კომფორტულ გარემოს, რაც უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს.

სასწავლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 347 კრედიტს 5 წლის განმავლობაში. ნანტში არსებული მოდელის ხანგრძლივობა რეალურად ექვსი წელია. ეს ბადაებს კითხვას, უზრუნველყოფს თუ არა საგნების შეცვლილი შინაარსი აღწერილი სწავლის შედეგების მიღწევას იმავე შინაარსისა და სტრუქტურის სასწავლო გეგმის გამოყენებით, სადაც საგნები უფრო მცირე მოცულობისაა (კრედიტების ნაკლები რაოდენობა).

ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus Plus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. რეკომენდებულია უნივერსიტეტმა იხელმძღვანელოს ნანტის ვეტერინარული სკოლის მოდელით, EAEVE შეფასების სისტემის აკრედიტაციის მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ფორმალიზებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსის შინაარსის შემდგომ განვითარებას და ამჟამინდელი და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადებას. შენიშვნები გაკეთდა შესაძლო გადაფარვების (ზოგად მიკრობიოლოგიასა და ინფექციოლოგიას შორის) და ლაბორატორიებში ბიოუსაფრთხოების ზომების დანერგვის შესახებ.

შემოთავაზებული სახელმძღვანელოები ინგლისურ ენაზეა. ენობრივი უნარების განვითარება სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი საკითხია. კურიკულუმში სხვადასხვა მოდული დაინერგა, თუმცა მინიმალური ბარიერი დადგენილი არ არის.

სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, უახლესი ინგლისური ლიტერატურის გარდა შემოთავაზებულია 1960- 70-იანი წლების რუსულ და ქართულ ენებზე სხვადასხვა სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა. სილაბუსი 26, ძირითადი ფუნქციების ინტეგრირებული ფიზიოლოგია, სილაბუსი 44, პათოლოგიური ანატომია, ონკოლოგია და ზოგადი პათოლოგია.

ასეთი მოძველებული ინფორმაცია თავდაპირველ ფორმატში ვერ ჩაითვალება შესაბამის ან სასარგებლო მასალად.

შესაბამისი უახლესი სასწავლო რესურსები არის ხარისხიანი ვეტერინარული განათლების საფუძველი. უნივერსიტეტმა უნდა დაიწყოს აუცილებელი საბიბლიოთეკო სასწავლო მასალების, კლინიკური აპარატურისა და ინსტრუმენტების შესყიდვა, რათა უზრუნველყოს სწავლებისა და სწავლის საუკეთესო სტანდარტები სასწავლო კლინიკებში, აგრეთვე, საკმარისი კვალიფიკაცია პროგრამაში ჩარიცხულ სტუდენტთა პრაქტიკული სწავლებისათვის (იხ. მეტი 4.4 მატერიალური რესურსები).

უნივერსიტეტში გამოყენებული სწავლების მეთოდები ძირითადად ფრანგული პროგრამიდანაა გადაღებული. ამ მიდგომას აქვს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. ამჟამად, რომ პერსონალს ძალიან მცირე ადგილი აქვს იმპროვიზაციისთვის, რაც იწვევს ნაკლებ თავსებადობას

საქართველოში არსებულ ვეტერინარულ სიტუაციასთან და საკანონმდებლო პირობებთან. მაგალითად, დაავადების სახეობები აშკარად განსხვავებულია, და საფრანგეთსა და საქართველოში ცხოველთა მეურნეობის ტრადიციები და კულტურა სრულიად არ ემთხვევა ერთმანეთს.

ასეთი საგანმანათლებლო სისტემის ერთ - ერთი ძლიერი მხარე არის ის, რომ მომავალში მიღებული ცოდნა შეიძლება უფრო მეტად შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს, თუმცა ამას შეიძლება საკმაოდ დიდი დრო დასჭირდეს. თუმცა, ყველაზე აშკარა პრობლემა მდგომარეობს კურსის ხანგრძლივობასა და სტუდენტებისთვის მიწოდებული სასწავლო მასალის რაოდენობაში. არსებობს შესაძლებლობა, რომ სტუდენტებს გაუჭირდეთ ვრცელ დისციპლინურ სასწავლო მასალებთან გამკლავება, რადგან ეს სისტემა საქართველოსთვის უცხოა.

ამ მიდგომამ გამოიწვია რამდენიმე პრობლემა სხვადასხვა სილაბუსში. მაგალითად, სილაბუსში #17, ლაბორატორიული პრაქტიკის განყოფილებაში, როგორც ჩანს, არის მექანიკური შეცდომა, ვინაიდან კურსი მთავრდება PPE- ის გამოყენებისა და ხელის ჰიგიენის სწავლებით. ეს უნდა იყოს პირველი, რასაც სტუდენტები სწავლობენ ლაბორატორიაში მუშაობისას. ჩვენ გირჩევთ თემების გადალაგებას ბიოუსაფრთხოებისა და ბიოდაცულობის პრობლემების გადასაჭრელად. 22-ე სილაბუსში „იმუნოლოგია, ანთება და ვაქცინაცია“, არ არის განყოფილება ანთებაზე, ხოლო „ლაბორატორიული კურსის“ თემების უმეტესობა უფრო სემინარისთვის შესაფერის მასალას წარმოადგენს. ეს შეიძლება მექანიკური შეცდომა იყოს, მაგრამ აუცილებელია მისი გასწორება. მიმდინარე თემები ლაბორატორიაში ვერ განხორციელდება.

მე-15 სილაბუსის „ზოგადი ინგლისური ვეტერინარიისთვის“ და 41- ე სილაბუსის, „სამეცნიერო კომუნიკაცია“ შინაარსი მსგავსია, ფორმატირების შეცდომების ჩათვლით.

გარე პრაქტიკასთან დაკავშირებულ ყველა სილაბუსში (34, 35, 56) ნათლად არ ჩანს, სად უნდა გაიგზავნოს პრაქტიკის ანგარიში. ხელმძღვანელის ელ. ფოსტის ნაცვლად, დაკოპირებულია ელექტრონული ფოსტის მაგალითი ფრანგული სილაბუსიდან (prenom.nom@oniris- nantes.fr). გარდა ამისა, ყველა ამ სილაბუსში დაკოპირებულია ლიტერატურა სხვა წყაროებიდან, რაც, ზოგ შემთხვევაში, არ არის შესაფერისი პრაქტიკული შინაარსისთვის და ტოვებს მექანიკური კოპირების შთაბეჭდილებას პროფესორებისა და პერსონალის ყოველგვარი ანალიზისა და მიმოხილვის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე პროგრამა მოიცავს მსხვილ ცხოველთა მედიცინის სწავლებას, უნივერსიტეტს ამჟამად არ გააჩნია დიდ ცხოველებთან მუშაობის საშუალებები. ინტერვიუს დროს ახსენეს დმანისის ფერმა, თუმცა ამ დროისთვის მემორანდუმი ან ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ძალიან დიდია ალბათობა იმისა, რომ სტუდენტებმა ვერ აითვისონ საჭირო უნარები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერილობა;
- ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- სილაბუსები;
- ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- ხელშეკრულებები/მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სილაბუსებში თანამედროვე და ადეკვატური ლიტერატურის გამოყენება;
- გადაიხედოს და შეიცვალოს ყველა შეცდომებით დაწერილი სილაბუსი და გასწორდეს ნაკლული/ მცდარი შინაარსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- ექსპერტთა კომიტეტი გთავაზობთ საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტების (Erasmus და სხვ.) წამოწყებას ვეტერინარიის სფეროშიც. ფორმალიზებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს კურსის შინაარსის შემდგომ განვითარებას და ამჟამინდელი და მომავალი აკადემიური პერსონალის მომზადებას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვეტერინარიის ინტეგრირებულ პროგრამაზე დაშვების პირობები შესაბამისი და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, ჩარიცხვა შეუძლიათ იმ პირებს, რომლებსაც აქვთ ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. მიღება ეფუძნება ერთიან ეროვნულ გამოცდებში მიღებულ რეიტინგს (ქულების კოეფიციენტები), რაც ანიჭებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლის უფლებას.

პროგრამაზე ჩასარიცხად, კანდიდატებმა ერთიანი ეროვნული გამოცდები უნდა ჩააბარონ შემდეგ საგნებში.

- o ქართული ენა და ლიტერატურა
- o უცხო ენა (ინგლისური)
- o ბიოლოგია/ ქიმია (კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის მიღწევა). ადგილების რაოდენობა თითოეულ საგანში (ბიოლოგია/ ქიმია) არ უნდა იყოს პროგრამისთვის გამოცხადებული ადგილების 10%- ზე ნაკლები.

გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ 5 ბრძანებით, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანის წესისა და საფასურის შესახებ, მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებს აგრეთვე შეუძლიათ პროგრამაში ჩარიცხვა.

ექსპერტთა პანელმა გამოთქვა ეჭვები შემოსული სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის სხვადასხვა დონესთან დაკავშირებით (რაც შედარებით დაბალია), იმის შესახებ, შეძლებენ თუ არა ისინი პირველივე კურსზე ისწავლონ ის საგნები, რომელთა სავალდებულო სასწავლო მასალა არის ინგლისურ ენაზე. თუმცა, უნივერსიტეტი ამ სტუდენტების დასახმარებლად კონსპექტების შემოღებას გეგმავს.

საქართველოში ნამდვილად არის ცხოველთა მაღალკვალიფიციური ვეტერინარული სერვისების ეროვნული დეფიციტი. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ უნივერსიტეტი გულდასმით განიხილავს ჯგუფის ზომის გავლენას სტუდენტების მოსწრებაზე, რათა მომავალმა კურსდამთავრებულებმა ხარისხიანი სწავლება მიიღონ. ვეტერინარულ მედიცინაში 5- წლიან ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ყოველწლიურად იგეგმება 30 სტუდენტის მიღება, რაც შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამის აღწერილობა;
- o ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- o გასაუბრება დამსაქმებლების წარმომადგენლებთან.

რეკომენდაციები:

- o წინადადება (წინადადებები)/ შეთავაზება (შეთავაზებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o სასურველია უნივერსიტეტმა შექმნას გეგმა და განახორციელოს ზომები, რომლებიც დაეხმარება პირველი კურსის სტუდენტებს გადაჭრან ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებული გამოწვევა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო პროგრამა და შეთავაზებული კურსები სტუდენტებს აძლევს ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმდა მემორანდუმები ან თანამშრომლობის ხელშეკრულებები პრაქტიკის გავლასა და სტაჟირებასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, ამგვარი პარტნიორობა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობებს. მაგისტრანტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ სადისერტაციო თემა, ისევე, როგორც ხელმძღვანელი. დადგინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის დებულება (ხელმძღვანელობა, ხარისხის კონტროლი, დაცვის პროცედურა) კარგად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ვეტერინარული კვლევები ამჟამად არ ტარდება. ანალოგიურად, უნივერსიტეტში არ არსებობს სადოქტორო პროგრამა ვეტერინარულ მედიცინაში. ახლანდელ კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს დამოუკიდებლად შეასრულოს ვეტერინარული პროფესიის დამწყები დონის დავალებები და მოვალეობები და საკმარისად იყოს დარწმუნებული, რათა თავად განახორციელოს ვეტერინარია პირველადი სამედიცინო დახმარების დონეზე. კლინიკური პრაქტიკული კომპეტენციის გაზრდისა და საუკეთესო ვეტერინარული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს საერთაშორისო თანამშრომლობისა და გაცვლითი პროგრამები აკადემიური პერსონალისათვის. როგორც ჩანს, ცხოველთა მედიცინაში ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი პრაქტიკული სწავლების ორგანიზება არაადეკვატურად იყო დაგეგმილი, რადგან კოლაბორაციული ფერმები ძალიან შორს მდებარეობს ერთმანეთისგან. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრზე, მათ შორის, და არა მარტო: კლინიკური უნარების ლაბორატორია, დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ქირურგია და სამკურნალო საშუალებები, ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობა, ამბულატორიული მომსახურება, ფარმაცია და ნეკროპსიის ობიექტები. ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროცედურები და საშუალებები ტრანსფერული უნარების ტრენინგისთვის, მაგ. კომუნიკაციის უნარების ტრენინგი როლური თამაშის საშუალებით. (ასევე გადაამოწმეთ სტანდარტი 4.4).

პრაქტიკული სასწავლო კომპონენტი შესულია ამ ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის რამდენიმე კურსში, მათ შორის წარმოების პრაქტიკის კომპონენტი (6 კრედიტი), რომელიც ტარდება მეორე და მესამე აკადემიური წლის განმავლობაში და ისწავლება სპეციალობის კურსების პარალელურად. სტუდენტები სრულად ჩაერთვებიან კლინიკურ საქმიანობაში მე-8 და მე-9 სემესტრებში. ტრენინგი ჩატარდება ჰიბრიდულ რეჟიმში (ონლაინ და ადგილზე) და მოიცავს აქტივობებს როგორც საუნივერსიტეტო კლინიკაში (უსდ აპირებს მის დაარსებას უახლოეს მომავალში), ასევე ვეტერინარული პროფილის დაწესებულებებში* “გარე პრაქტიკა“ - ხელშეკრულებების შესაბამისად. „კლინიკური საქმიანობა“ გულისხმობს სტუდენტების სტაჟირებას ონირისის ვეტერინარულ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალ ცენტრში (Oniris CHUV/ <https://chuv.oniris-nantes.fr>). უმაღლესმა სასწავლებელმა შეიმუშავა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის წარმართვისა და შეფასების წესები, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაეცნონ სტაჟირებასთან (პრაქტიკასთან) დაკავშირებულ საკითხებს, უსდ-ს მიერ დანიშნული სტაჟირების (პრაქტიკის) ხელმძღვანელის უფლება- მოვალეობებს, სტაჟირების (პრაქტიკის) წარმომადგენელს, სტუდენტების მოვალეობებს პრაქტიკული მომზადების მსვლელობისას, და ა.შ.

პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - „ცოდნის გაღრმავება და სამაგისტრო ნაშრომი“,

რომელიც 35 კრედიტს მოიცავს, მე-10 სემესტრში ისწავლება. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ თავიანთი ცოდნისა და უნარების გაღრმავება ერთ - ერთ შემდეგ სფეროში:

- o სოფლის მეურნეობის/ წარმოების ცხოველთა სექტორი (მოდული შედგება 4 კურსისგან);
- o კომპანიონი ცხოველების სექტორი (9 კურსი);
- o ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორი (8 კურსი);

ცოდნის გაღრმავება და სამაგისტრო ნაშრომის კომპონენტი მოიცავს საქმიანობის ორ ეტაპს: თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.

პირველი ეტაპი - თეორიული და პრაქტიკული სწავლება, რომელიც მოიცავს 15 კრედიტს, ჩატარდება როგორც ვეტერინარულ სასწავლებლებში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ნანტის ეროვნული ვეტერინარული სკოლა (ონირისი)), ასევე სტაჟირების ადგილებში.

მეორე ეტაპი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა, რომელიც მოიცავს 20 კრედიტს, განხორციელდება ვეტერინარულ სკოლებში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ნანტის ეროვნული ვეტერინარული სკოლა (ონირისი)) და პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დაწესებულებებში (სტაჟირების ადგილები), საქართველოს სხვადასხვა ვეტერინარულ დაწესებულებებში, არავეტერინარული პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში (მაგ. ბიზნეს სკოლები), ან შესაბამის სამეცნიერო კვლევით ცენტრებში (დიაგნოსტიკური ლაბორატორიები და ა.შ.).

უსდ სტუდენტებს სთავაზობს კლასგარეშე აქტივობებს, კონფერენციებს, საჯარო ლექციებს და ა.შ. როგორც ეს აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუში ვლინდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o პროგრამის აღწერილობა;
- o სილაბუსები;
- o ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- o ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- o ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- o გასაუბრება დამსაქმებლების წარმომადგენლებთან;
- o ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- o https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/pragtika_18_SD.pdf
- o https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2020_SD.pdf

რეკომენდაციები:

- o რეკომენდირებულია უნივერსიტეტმა განავითაროს კლინიკური პრაქტიკული ელემენტები საუკეთესო ევროპული ვეტერინარული პრაქტიკის მიხედვით.
- o მნიშვნელოვანია, რომ პროგრამამ განავითაროს დიაგნოსტიკური და თერაპიული საშუალებების ფართო სპექტრი, მათ შორის: კლინიკური დიაგნოსტიკური ვიზუალიზაცია, კლინიკური პათოლოგია, ანესთეზია, ქირურგია და მკურნალობის უნარები, და შეუძლია უზრუნველყოს ინტენსიური/ კრიტიკული მკურნალობა, ამბულატორიული მომსახურება, ფარმაცია და გაკვეთის საქმიანობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლის შედეგებს. არსებობს საკმაო მოქნილობა ინდივიდუალური სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებაში, როდესაც საქმე ეხება ვეტერინარიის დარგობრივ მახასიათებლის მოთხოვნებს უმაღლესი განათლებაში. უნივერსიტეტს აქვს კომპეტენცია ცხოველთა მეცნიერებებში და კვების ტექნოლოგიაში, როგორც სწავლებაში, ასევე კვლევაში, რაც ძლიერ მხარეს წარმოადგენს ვეტერინარული სასწავლო გეგმის დანერგვისას. გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ ვეტერინარულ პროგრამას, აღჭურვილნი არიან ყველა საჭირო უნარებით. არსებული გეგმების მიხედვით, პრაქტიკული სწავლება გარე პროვაიდერებს გადაეცემა. თუმცა, ეს ვერ შეცვლის ძირითად კლინიკურ ტრენინგს უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობით (მაგ. ამბულატორიული კლინიკები, ნახირის ჯანმრთელობის მართვა, პრაქტიკული ტრენინგი VPH- ში, მათ შორის სურსათის უსაფრთხოება და ხარისხი).

ზოგადად, როგორც ჩანს, აკადემიური პერსონალი თავისუფალია თავად აირჩიოს და განახორციელოს სასწავლო მეთოდები. პროგრამა საკმარისია კლასიკური ვეტერინარული სასწავლო გეგმის გატარებისთვის. თუმცა, თანამედროვე სასწავლო გეგმების გამოწვევა და ფრანგული მოდელის (მათ შორის შინაარსის) გადმოღება მოითხოვს ახალ მიდგომებს პროცესებში (მათ შორის სწავლების მეთოდებში), რომლებიც საჭიროებს გულმოდგინე მონიტორინგს და კოორდინაციას.

ცოცხალი ცხოველების გამოყენება სწავლებაში მნიშვნელოვანია და ყურადღებით უნდა იქნას განხილული. მოსალოდნელია, რომ პრაქტიკული ტრენინგი ვეტერინარული ტრენინგის მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც ჩანს, ცხოველებთან პრაქტიკული სწავლება სათანადოდ არ არის ორგანიზებული იმის გამო, რომ კოლაბორაციული მეურნეობები ძალიან შორს მდებარეობს. სასწავლო გარემო და მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს იმას, რომ ყველა სტუდენტმა გაიაროს მსგავსი და ყოვლისმომცველი ტრენინგი. ამიტომ, ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE) უნდა იყოს გამოყენებული როგორც შეფასების ინსტრუმენტი სხვადასხვა კურსის ან ციკლის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ანატომიური ლაბორატორიის, ნეკროპსიის კაბინეტისა და სხვა კლინიკური დაწესებულებების განვითარება ხელს შეუწყობს სწავლის დადებით შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში და კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- ცოცხალი ცხოველების გამოყენება სწავლებაში მნიშვნელოვანია, რაც გარანტირებული უნდა იყოს სწავლის პერიოდის ყველა საფეხურზე (განსაკუთრებული აქცენტით ფერმის ცხოველებზე).
- მკაცრად რეკომენდებულია, რომ პრაქტიკული ტრენინგი როგორც სწავლის მეთოდი, დაინერგოს როგორც ძირითადი კლინიკური ტრენინგი, უნივერსიტეტის პედაგოგთა უშუალო ზედამხედველობით (მაგ. ამბულატორიული კლინიკები, ნახირის ჯანმრთელობის მართვა, პრაქტიკული ტრენინგი ვეტერინარულ საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, მათ შორის სურსათის უვნებლობა და ხარისხი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემა ემყარება საკანონმდებლო მოთხოვნებს. მიღებულია კურსზე დაფუძნებული შეფასების მიდგომა. პედაგოგებს აქვთ რეგულარული სამუშაო საათები სტუდენტებისთვის, რათა მათ შეეძლოთ შესაბამისი საკითხების განხილვა ინდივიდუალურად და პირისპირ. სტუდენტები უნივერსიტეტის შეფასების სისტემას თვლიან სამართლიანად და გამჭვირვალედ. შეფასებასთან დაკავშირებით სტუდენტების პრეტენზია არ ყოფილა. სტუდენტებმა იციან თავიანთი უფლებები და მოვალეობები. სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს არა მხოლოდ ღრმა თეორიულ განათლებას, არამედ საკმარის პრაქტიკულ კურსებსაც. სტუდენტების აზრით, საქართველოში ვეტერინარული მედიცინის შესწავლით ძალიან ბევრი მოტივირებული ახალგაზრდაა დაინტერესებული.

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიმუშავა სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების პროცედურა. შეფასების სისტემა შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“.

უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებს „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, რომლის დანართებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია მაგისტრანტის ინდივიდუალური გეგმის, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესებისა და ინსტრუქციების შესახებ, ასევე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის შესრულების შესახებ. (<https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Regulations.php>).

უმადლესმა სასწავლებლებმა ასევე შეიმუშავა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის წარმართვისა და შეფასების წესები“. (https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/praktika_18_SD.pdf),

პროგრამის სასწავლო კომპონენტი „გარე პრაქტიკა“ განხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, პრაქტიკული სწავლების სტაჟირების მასპინძლის მიერ მოწოდებულ ობიექტებზე.

სტაჟირების დროს სტუდენტების მოსწრება 100- ქულიანი სისტემით შეფასდება. ჩატარდება შუალედური და დასკვნითი შეფასებები.

შუალედურ (მრავალჯერად) შეფასებას ჩაატარებენ უნივერსიტეტის აკადემიური და პედაგოგიური პერსონალი სილაბუსში აღწერილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ინდივიდუალური პროექტების პრეზენტაციების შეფასებას (პრეზენტაცი პრაქტიკული სწავლების დროს შესრულებული სამუშაოს შესახებ) ახორციელებს ფაკულტეტის მმართველი ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი შეფასების კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან მენტორი, ორგანიზაციიდან მოწვეული სხვა პირები და დარგის სხვა სპეციალისტები.

მიმდინარე სასწავლო გეგმა უფრო მოკლე ხანგრძლივობისაა, 6 წელი შეკუმშულია ხუთ წლამდე 70 კრედიტით წელიწადში. ეს გამოიწვევს სტუდენტებისთვის მნიშვნელოვნად მძიმე დატვირთვას.

სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, რომელიც ნაწილდება 15 კვირაზე. მაქსიმალური შეფასება თითოეული კვირისთვის არის 4 ქულა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული პრაქტიკა გრძელდება 3- დან 5 კვირამდე, ექსპერტები თვლიან, რომ გარე პრაქტიკის სილაბუსებში სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები შესაბამისად უნდა იყოს მორგებული.

სასურველია სტუდენტები შეფასდნენ კლინიკურ დისციპლინებში ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o პროგრამა.
- o სილაბუსები;
- o ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 60 ქულა, რომელიც ნაწილდება 15 კვირაზე. მაქსიმალური შეფასება თითოეული კვირისთვის არის 4 ქულა. იმის გათვალისწინებით, რომ თითოეული პრაქტიკა 3- დან 5 კვირამდე გრძელდება, ექსპერტები თვლიან, რომ გარე პრაქტიკის სილაბუსებში სტუდენტების შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები შესაბამისად უნდა იყოს მორგებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია სტუდენტების შეფასება კლინიკურ დისციპლინებში განხორციელდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით (OSCE).

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

2.4 სტუდენტების შეფასება	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--------------------------	--------------------------	---	--------------------------	--------------------------

შესაბამისობა პროგრამასთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვინაიდან სტუ- ში ვეტერინარიის პროგრამას ჯერ არ ჰყავს სტუდენტები, ჩატარდა ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სტუდენტები იღებენ შესაბამის ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ. ეს მიიღწევა ვებგვერდისა და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს თვალყური ადევნონ სწავლის პროგრესს და დაუკავშირდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და ლექტორებს.

სტუ- მ დანერგა ახალი ელექტრონული მონაცემთა ბაზა, სახელწოდებით <https://vici.gtu.ge/> , რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ფუნქციებს, როგორცაა პერსონალურ ინფორმაციაზე, სემესტრის დეტალებზე წვდომა, Grade Point Index (GPI), დაგროვილი და მიმდინარე კრედიტები, პროგრამის სასწავლო გეგმა და სილაბუსები, რომლებიც დამტკიცებულია სტუდენტების მიერ. გარდა ამისა, უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული სასწავლო სისტემა, სახელწოდებით <https://elearning.gtu.ge> . საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სწავლების ინდივიდუალური განრიგის შექმნას, ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მომზადებას.

სტუდენტებთან ინტერვიუმ ასევე ცხადყო, რომ სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით ადეკვატურ ინფორმაციასა და დახმარებას. მათ იციან ინფორმაციის შესაბამისი წყაროები და მათთვის ხელმისაწვდომი დამხმარე სერვისების შესახებ. სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა კონფერენციებში და სხვა სახის

კლასგარეშე აქტივობებში.

ინტერვიუს დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ სურთ ლაბორატორიების გაუმჯობესება და პრაქტიკული სწავლებისა და სწავლების აპარატის მოდერნიზება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში;
- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- o ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამაგისტრო დეპარტამენტში შემუშავებულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეპარტამენტის მაგისტრატურაზე“, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამაგისტრო ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის კომპეტენციები და უფლება-მოვალეობები, განსაკუთრებით ამ დეპარტამენტის მე-3 პუნქტში:

3.1; „მაგისტრატურის სტუდენტის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები“. მაგისტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, მოწვეული პერსონალი/ მასწავლებელი დოქტორის ხარისხით, ემერიტუსი სტუ-ს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტიდან, მაგრამ ასევე სტუ-ში ინტეგრირებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის/ ცენტრის უფროსი ან უფროსი სამეცნიერო თანამშრომელი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების თანამშრომელი (დოქტორი), თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/ მემორანდუმი.

3.2. მაგისტრანტთან შეთანხმებით, ხელმძღვანელი ამზადებს ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1), რომელშიც დაზუსტებული უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის სათაური, სავალდებულო და არჩევითი საგნების/ მოდულების ჩამონათვალი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები.

3.3. მაგისტრის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს კვლევითი სამუშაოს დასრულებამდე და ნაშრომის დასაცავად მომზადებამდე. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ 59 ადამიანია ჩართული, მათ შორის 18 აკადემიური პერსონალი, 39 მოწვეული ლექტორი და ორი მკვლევარი.

პერსონალის წევრებს, რომლებსაც აქვთ ვეტერინარული მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი, გააჩნიათ კვლევის გამოცდილება ამ სფეროში. რამდენიმე აკადემიური/ მოწვეული პერსონალი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში. პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი სახელწოდებით "ცოდნის გაღრმავება და სამაგისტრო ნაშრომი" (35 კრედიტი) ისწავლება პროგრამის მე-10 სემესტრში. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა და უნარები ერთ- ერთ შემდეგ სფეროში: სოფლის მეურნეობის/ წარმოების მეცხოველეობის სექტორი, კომპანიონი ცხოველების სექტორი და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორი. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება აირჩიონ საკვლევი თემის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი

სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ეყოლებათ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რაც დასტურდება სათანადო დოკუმენტაციით (პროგრამის აკადემიური პერსონალის პირად საქმეები). პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სახელმძღვანელო სამაგისტრო ნაშრომის მომზადების შესახებ, ასევე შესაბამისი დისერტაციის დაცვის ინსტრუქცია, რომელიც ასახავს ხელმძღვანელებისა და სტუდენტების უფლებებსა და მოვალეობებს.

დოკუმენტი ასახავს სტუდენტების უფლებებს მაგისტრატურის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელებისთვის) შესაბამისი მოთხოვნების ხელახალი მიწოდების შესახებ და მათი დანიშვნის/დამტკიცების, სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა/დამატების პროცედურები.

ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიღება, ბიბლიოგრაფიული მონაცემების მოძიებაში მხარდაჭერა, კვლევითი სამუშაოების მომზადება, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრაცია, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია, აგრეთვე რჩევები სტატიების რევენზირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი არ სთავაზობს ვეტერინარიის სადოქტორო პროგრამებს.

გარე დაინტერესებული მხარეები მხარს უჭერენ ვეტერინარული პროგრამის შემუშავებას და დანერგვას. ისინი ავლენენ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის სურვილს, განსაკუთრებით პრაქტიკული ტრენინგის ადგილებთან დაკავშირებით. ისინი აცნობიერებენ საქართველოში კვალიფიციური ვეტერინარების აუცილებლობას, რადგან კვალიფიციური პროფესიონალების არსებობა მათი ბიზნესების მნიშვნელოვანი ელემენტია. უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა მოიზიდოს ბიზნესის ოპერატორები სტუდენტებისთვის პრაქტიკის უზრუნველსაყოფად. ეს შეიძლება, ასევე, დაეხმაროს სტუდენტებს სადისერტაციო თემების შერჩევაში, რაც იძლევა პრაქტიკული მნიშვნელობის შედეგებს.

სამაგისტრო/ სადოქტორო ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საგანმანათლებლო პროგრამა

- o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება
- o სასწავლო კურსის სილაბუსები
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი
- o ინტერვიუების შედეგები
- o ხელმძღვანელების CV-ები და კვლევითი პუბლიკაციები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად
- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამასთან

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის შესრულებას, აგრეთვე შესაბამისი კვლევისა და მათთვის დავალებული სხვა ფუნქციების შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსმა შეიძლება იმოქმედოს პროგრამის მდგრადობაზე. აკადემიური პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა რეგულირდება უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენის წესის“ შესაბამისად.

ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ 59 ადამიანია ჩართული, მათ შორის 18 აკადემიური პერსონალი, 39 მოწვეული ლექტორი და ორი მკვლევარი. ვეტერინარულ სწავლებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობა ვეტერინარი უნდა იყოს. მოსალოდნელია, რომ სწავლების 2/3- ზე მეტი, სტუდენტების სწავლების საათების მიხედვით, მიწოდებული იქნება კვალიფიციური ვეტერინარების მიერ.

მოწვეულ პერსონალს არ გაუვლია აკადემიური შეფასება, მაგრამ შეუძლიათ აჩვენონ წინა პედაგოგიური გამოცდილება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში უმაღლესი განათლების პოლიტიკაში (განსაკუთრებით ვეტერინარიის უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით) განვითარებული მოვლენები არ იყო შესაფერისი საქართველოში მოტივირებული პროფესიონალი ვეტერინარების ახალი თაობის განათლებისთვის. ეს თაობა საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს. ამკარაა, რომ რთული იქნება კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დაქირავება. თუმცა, ადგილმდებარეობა (თბილისი) საკმაოდ მიმზიდველია. როგორც ჩანს, სხვადასხვა უნივერსიტეტში ერთი და იგივე ვეტერინარული პერსონალი მუშაობს. მოწვეულ პერსონალს შეიძლება ჰქონდეს კარგი პრაქტიკული ცოდნა, მაგრამ არ ჰქონდეს პედაგოგიური უნარები და კვლევის გამოცდილება. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უნდა იზრუნოს ახალგაზრდა მასწავლებლების გადამზადებაზე, რომლებიც ჩაანაცვლებენ კარგად მომზადებულ, მაგრამ ხანდაზმულ საპენსიო ასაკს მიახლოებულ პროფესორებს (აკადემიურს და მოწვეულს).

საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უშუალო წინაპირობას ვეტერინარიის პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ბევრ პედაგოგს განსაკუთრებით მძიმე დატვირთვა აქვს. მაგალითად, ერთი მოწვეული თანამშრომელი მთლიანობაში შვიდ საგანს ასწავლის. ექსპერტთა პანელის აზრით ეს არაგონივრული და მიუღებელია. თითოეულ საგანს უნდა ასწავლიდეს თავდადებული ინსტრუქტორი/ სპეციალისტი და არა ფართო პროფილის მქონე პირი. ეს ფაქტი აჩენს კითხვას, არის თუ არა პედაგოგიური პერსონალი სათანადოდ მომზადებული და აქვს თუ არა მკაფიოდ გააზრებული ის რთული ფრანგული სასწავლო გეგმის ბუნება, რომელიც მოდელად გამოიყენება. ვეტერინარული სასწავლო გეგმის თანამედროვე სტრუქტურა რთულია და მოითხოვს აკადემიური პერსონალისგან განსხვავებულ (ინტერდისციპლინურ) მიდგომას, ანუ არ მიჰყვება ვეტერინარული განათლების კლასიკურ ნიმუშს, როდესაც ერთ საგანს ასწავლის ერთი მასწავლებელი.

მოწვეულ პერსონალს არ გაუვლია აკადემიური შეფასება, მაგრამ შეუძლიათ აჩვენონ წინა პედაგოგიური გამოცდილება. ექსპერტთა პანელმა გამოთქვა მნიშვნელოვანი შეშფოთება მოწვეული პერსონალის სიმრავლის გამო, რაც საფრთხეს უქმნის პროგრამის მდგრადობას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ის, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელი მოწვეულია. რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას ვეტერინარული გამოცდილების მქონე მუდმივი აკადემიური პერსონალის ძირითადი ჯგუფი. გარდა ამისა, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელები უნივერსიტეტის მუდმივი აკადემიური პერსონალის შემადგენლობაში შედიოდნენ.

პროგრამაში პერსონალის შორის, სამეცნიერო, პერსონალი	ჩართული რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, მოწვეული)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა		59	31	19	18
o პროფესორი:		16	2	2	16
o ასოცირებული პროფესორი		2	-	-	2
- ასისტენტ-პროფესორი:		-	-	-	-
- ასისტენტი:		-	-	-	-
მოწვეული პერსონალი		39	29	17	-
სამეცნიერო პერსონალი		2	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პროგრამაში ჩართული პერსონალის CV-ები
- o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო- კვლევითი სამუშაოს შეფასების წესი“ - სტუ- ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის No450 დადგენილება; <http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf>;
- o საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის No531 დადგენილება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ- მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“; <https://gtu.ge/pdf/dadgenilebebi/dadg531.pdf>

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შექმნას ვეტერინარული გამოცდილების მქონე მუდმივი აკადემიური პერსონალის ძირითადი ჯგუფი.
- პროგრამის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ უნივერსიტეტის მუდმივი აკადემიური პერსონალის ნაწილი.
- მასწავლებელთა ჩართულობა ოპტიმალურად და დაბალანსებულად უნდა იყოს ორგანიზებული, რათა შენარჩუნდეს სწავლების ხარისხი და უზრუნველყოფილი იყოს, რომ თითოეული მასწავლებლის დატვირთვა გონივრული და ადეკვატური იყოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
------------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------------

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.1 ადამიანური რესურსი	<input type="checkbox"/>	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
------------------------	--------------------------	---	--------------------------	--------------------------

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეს არის ახალი სასწავლო პროგრამა, ამიტომ სტუდენტების მიღება ჯერ არ მომხდარა. ვეტერინარულ მედიცინაში სადოქტორო სასწავლო პროგრამას უნივერსიტეტი არ სთავაზობს. უსდ-მ შეიმუშავა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, სადაც დეტალურად არის აღწერილი მაგისტრის ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის კომპეტენციები, უფლებები და მოვალეობები, განსაკუთრებით ამ დებულების მე-3 პუნქტში:

3.1; „მაგისტრატურის სტუდენტის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები“. მაგისტრის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ- პროფესორი, მოწვეული პერსონალი/ მასწავლებელი დოქტორის ხარისხით, ემერიტუსი სტუ- ს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტიდან, მაგრამ ასევე სტუ- ში ინტეგრირებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის/ ცენტრის უფროსი ან უფროსი სამეცნიერო თანამემწე, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების თანამშრომელი (დოქტორი), თუ სტუ- სა და ამ დაწესებულებას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება/ მემორანდუმი.

3.2. მაგისტრანტთან შეთანხმებით ხელმძღვანელი ამზადებს ინდივიდუალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1), რომელშიც დაზუსტებულია სამაგისტრო ნაშრომის სათაური, სავალდებულო და არჩევითი საგნების/მოდულების ჩამონათვალი და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობები.

3.3 მაგისტრის ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომს ხელმძღვანელობს კვლევითი სამუშაოს დასრულებამდე და ნაშრომის დასაცავად მომზადებამდე. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში სულ 59 ადამიანია ჩართული, მათ შორის 18 აკადემიური პერსონალი, 39 მოწვეული ლექტორი და ორი მკვლევარი.

პერსონალის წევრებს, რომლებსაც აქვთ ვეტერინარული მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხი, გააჩნიათ კვლევის გამოცდილება ამ სფეროში. რამდენიმე აკადემიური/ მოწვეული პერსონალი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში. პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი სახელწოდებით "ცოდნის გაღრმავება და სამაგისტრო ნაშრომი" (35 კრედიტი) ისწავლება პროგრამის მე-10 სემესტრში. ამ კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გაიღრმავონ თავიანთი ცოდნა და უნარები ერთ- ერთ შემდეგ სფეროში: სოფლის მეურნეობის/ წარმოების მეცხოველეობის სექტორი, კომპანიონი ცხოველების სექტორი და ვეტერინარული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორი. სტუდენტებს მიეცემათ საშუალება აირჩიონ საკვლევი თემის ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელი

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, ავღიღრებული პერსონალი
---	-------------------------	--	----------------------------------

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	36	19	
პროფესორი:	10	2	
ასოცირებული პროფესორი	-	-	
- ასისტენტ-პროფესორი:	-	-	
მოწვეული პერსონალი	24	17	-
სამეცნიერო პერსონალი	2	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o პროგრამა
- o თვითშეფასების დოკუმენტი
- o ინტერვიუები პროგრამის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციის გუნდთან;
- o ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- o ინტერვიუები აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ აკადემიურ პერსონალთან;
- o https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2020_SD.pdf

რეკომენდაციები:

არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განსავითარებლად:

არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

